საქართველოს მთავრობის

დადგენილება №366

2016 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/03/2016, 360160000.10.003.019210) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2**

1. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი, გარდა ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-7 მუხლებისა, ამოქმედდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან.

2. ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-7 მუხლები ამოქმედდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**